ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

| | | |
|---|---|---|
| 1 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და საფეხური | მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - პრაქტიკოსი ექთანი |
| 2 | პრატიკა დასახელება | სასწავლო პრაქტიკა -1 |
| 3 | პრაქტიკის ხანგრძლივობა | 1 კრედიტი-25 საათი, 17 კრედიტი - 425 საათი, 14 კვირა, აქედან პრაქტიკული მუშაობა - 400 სთ, გამოცდა - 25 სთ. |
| 4 | პრაქტიკის შინაარსი | სასწავლო პრაქტიკის დროს პროფესიულ სტუდენტს ექმნება სასწავლო გარემოში პირობები თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ქმედებაში გადასატანად და სავარჯიშოდ პროფესიული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. მან პაციენტის საწოლთან პრაქტიკის გავლამდე უნდა შეიძინოს თავისი კვალიფიკაციის შესაფერისი უნარები სიმულირებულ გარემოში. პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად ხდება სხვადასხვა სირთულის დაავადებების მომცველი კონკრეტულ შემთხვევა-მაგალითებზე მუშაობა, მოვლისათვის აუცილებელი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენება. |
| 5 | მიზანი | სასწავლო პრაქტიკის მიზანია პროფესიულმა სტუდენტმა პროფესიასთან დაკავშირებული კონკრეტული თემატიკის გაცნობიერების შემდეგ დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხის მისაღწევად შეასრულოს პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ განსაზღვრული დავალებები მოვლის ძირითადი კონცეპციების, ასაკობრივი და დაავადებათა თავისებურებების, აგრეთვე დაეუფლოს მოვლისათვის საჭირო ინსტრუმენტების და მასალების სწორი გამოყენების ტექნიკას სანიტარული ნორმების გათვალისწინებით. მთელი სასწავლო პრაქტიკის განმავლობაში პროფესიული სტუდენტი სიმულირებულ გარემოში თავის მეგობრებსა და ხელმძღვანელთან ერთად მუშაობის დროს სწავლობს სწორი ურთიერთობის წარმართვას პაციენტთან და სამედიცინო გუნდის სხვა წევრებთან. |
| 6 | შესწავლის წინაპირობები | ზოგადი და კერძო სნეულებები, ავადმყოფის მოვლა. |
| 7 | სასწავლო საქმიანობა და სწავლის მეთოდები | შემთხვევა-მაგალითების განხილვა; დისკუსია; ჩვენება (დემონსტრირება); სადემონსატრაციო ოთახში, ფუნქციურ საწოლებთან მცირე, 3 -კაციან ჯგუფებში ვარჯიში (თითოეული სტუდენტი ვარჯიშობს ავადმყოფის, მომვლელის, დამკვირვებლის ამპლუაში); |
| 8 | შეფასების სისტემა, კრიტერიუმები და მეთოდები | მაქსიმალური შეფასება 100 ქულა, დასკვნითი გამოცდა 40 ქულა, შუალედური შეფასება 60 ქულა. თითოეული საკითხი ფასდება 0-4 ქულით, სულ 36 ქულა, შუალედური ერთი გამოცდა 0 - 6 ქულა. სულ 24 ქულა. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა მინიმუმ შუალედური შეფასების ჩათვლით 30 ქულა. |
| 9 | სასწავლო რესურსი/ლიტერატურა | სათანადოდ აღჭურვილი სადემონსტრაციო ოთახი ფუნქციური საწოლებით, მოსავლელი მასალებით და დამხმარე საშუალებებით; მულიაჟები და ვიდეომასალა შესაბამისი ტექნიკური აღწურვილობით. |

| | | |
|---|---|---|
| 10 | სწავლის შედეგები | სასწავლო კურსი პროფესიულ სტუდენტს უვითარებს ზოგად და დარგობრივ უნარებს: *(ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის გაკეთების უნარი; კომუნიკაციის უნარი; ღირებულებები).* სასწავლო პრაქტიკის გავლის შედეგად პროფესიული სტუდენტი მზადაა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით პაციენტის საწოლთან იმუშაოს პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად. მან იცის მოვლის ძირითადი მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, ასაკობრივი და დაავადებათა თავისებურებების გათვალისწინებით მუშაობა. მოვლისათვის საჭირო ინსტრუმენტების და მასალების გამოყენება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გათვალისწინებით. სასწავლო პრაქტიკის განმავლობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე პროფესიული სტუდენტი შეძლებს რეალურ გარემოში როგორც პაციენტთან, ასევე მის ახლობლებსა და სამედიცინო გუნდის სხვა წევრებთან გამართულ ურთიერთობას ეთიკის ნორმების დაცვით. ის შეძლებს ავადმყოფი ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას, საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლებაში ხელშეწყობას ადამიანური ღირსების შესატყვისად. |
| 11 | მასწავლებელი/მასწავლებლები; საკონტაქტო ინფორმაცია | მერი ვაშაკიძე - საე:·თნო საქმე მობ. 995 593632285<br>თამარ კანთელაძე - საექთნო საქმე მობ.995 595505281<br>ნინო მეშვილდიშვილი - საექთნო საქმე მობ. 995 593632130<br>ლალი ზაუტაშვილი - საექთნო საქმე, მობ. 995 599202495 |

| სასწავლო კურსის თემების გადანაწილება საათების/კვირების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| **სასწავლო პერიოდი (დღე)** | **საათების რაოდენობა/აქტივობა** | **თემის დასახელება** | **სასწავლო რესურსი/ლიტერატურა** |
| 1 კვირა | სამუშაო ჯგუფში მუშაობა / შეფასება 30 საათი | კლინიკის თავისებურებების, შინაგანაწესის გაცნობა. მძიმე ავადმყოფის მოვლის თავისებურებების გაცნობა. | „თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი |
| 2 კვირა | სამუშაო ჯგუფში მუშაობა / შეფასება 30საათი | ბინაზე პაციენტის მოვლის თავისებურებები; დეტალური დაკვირვება ავადმყოფზე ხელოვნების ელემენტების საშუალებით დაკვირვების უნარების განვითარების სავარჯიშოები.; | „თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი |
| 3 კვირა | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ 30 საათი,<br><br>**შუალედური გამოცდა 5 საათი** | გარემოს მოწყობა, დახმარება სხეულის მოვლაში. დაბანა, ჩაცმა, ლოგინის მოწყობა; | „თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 კვირა | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ შეფასება 32 სთ, | კვება, დახმარება საკვების მიწოდებაში, სწორი პოზიციები მძიმე პაციენტის კვებისას, დახმარება ყლაპვის გაძნელების დროს. პირის ღრუს ჰიგიენა | „თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი |
| 5 კვირა | სამუშაო ჯგუფში მუშაობა 30 საათი | ექსკრეცია დახმარება გამოყოფის შეუკავებლობის დროს, შესაბამისი ჰიგიენის დაცვა | „თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი |
| 6 კვირა | სამუშაო ჯგუფში მუშაობა / 25 სათი **შუალედური გამოცდა 5 საათი** | პაციენტის დაცვა შესაძლო გართულებებისაგან, პროფილაქტიკური ღონისძიებები ნაწოლის, კონტრაქტურის თავიდან ასაცილებლად | „თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი |
| 7 კვირა | სამუშაო ჯგუფში მუშაობა / შეფასება სულ 32 სთ | პაციენტის დაცვა შესაძლო გართულებებისაგან, პროფილაქტიკური ღონისძიებები პნევმონიის, თრომბოზის თავიდან ასაცილებლად | „თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი |
| 8 კვირა | სამუშაო ჯგუფში მუშაობა სულ 32 სთ | პაციენტის უსაფრთხოების დაცვა. დაცემის პროფილაქტიკა | „თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი |
| 9 კვირა | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ 25 საათი **შუალედური გამოცდა 5 საათი** | პაციენტის მოძრაობა სწორი პოზიცია საწოლთან მუშაობის დროს, რათა ექთანმა დაიცვას ზურგი დაზიანებისაგან; მწოლიარე მძიმე ავადმყოფის გადაადგილება საწოლში; ავადმყოფის საწოლში წამოჯდომა, საწოლიდან სკამზე გადაჯდომა და პირიქით; | „თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი |
| 10 კვირა | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ შეფასება 30სთ | პაციენტის მოძრაობა ავადმყოფის საწოლში წამოჯდომა, საწოლიდან სკამზე გადაჯდომა და პირიქით; | „თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი |
| 11 კვირა | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ შეფასება 32სთ | პაციენტის მოძრაობა ავადმყოფის საწოლიდან წამოყ ენება, დახმარება სიარულში; | „თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| 12 კვირა | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/<br>25სთ<br><br>**შუალედური გამოცდა 5 საათი** | დამხმარე საშუალებების - ინვენტარის გაცნობა - გამოყენება. | „თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი |
| 13 კვირა | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ შეფასება<br>25 საათი, | უშუალო მეთვაყურეობის ქვეშ მედიკამენტების მიღების კონტროლი. | „თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი |
| 14 კვირა<br>(არასრული) | სამუშაო ჯგუფში მუშაობა/<br>22 საათი,<br>**დასკვნითი გამოცდა 5 საათი** | სახვევების, საფენებისა და სამკურნალო აბაზანების, სწორად გაკეთების ტექნიკა<br>სამკუნალო ზეთებისა და მალამოების შეზელვა | „თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი |

ხელმოწერა: